**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის**

**ბრძანება №2-469**

**2025 წლის 1 აგვისტო**

**ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 (სსმ, ვებგვერდი, 20/04/2012; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.032.016067) ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების“:

1. **მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა**

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზისა და რეგულირების დეპარტამენტი;

გ) მარკეტინგის დეპარტამენტი;

დ) მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისია.“.

**2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ლ) სამეურნეო და ლოჯისტიკის საკითხების უზრუნველყოფა და სააგენტოს ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზება;“.

**3. მე-5 მუხლის პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო[1]“ ქვეპუნქტი:**

„ო[1]) დარგის საინფორმაციო უზრუნველყოფა, სააგენტოს ვებგვერდზე სააგენტოს შესახებ ინფორმაციის და სიახლის განთავსება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კოორდინაცია, დარგთან დაკავშირებული სარეკლამო საქმიანობის ხელშეწყობა;“.

**4. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. მარკეტინგის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების როგორც შიდა, ისე გარე სამომხმარებლო ბაზარზე ღირსეულად დამკვიდრებისა და დარგის

საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ხელშეწყობა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში დარგთან დაკავშირებული სამარკეტინგო და სარეკლამო საქმიანობის ხელშეწყობა;

გ) ალკოჰოლიანი სასმელების დეგუსტაციების, კონკურსების და გამოფენების მოწყობა ან/და მათში მონაწილეობის მიღება;

დ) მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

ე) სხვა ქვეყნის შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა;

ვ) სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევა;

ზ) საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დაგეგმვა და თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;

თ) სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტის უცხო ენაზე მომზადება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.“.

**5. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:**

„5. მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისია ახორციელებს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების ჩატარებას.“.

**მუხლი 2**
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**სოფლის მეურნეობის მინისტრი** **დავით სონღულაშვილი**